სტამბა და რედაქცია
ტფილისი, სასახლის ქ.,
თ.-აზნაურთ ქარვასლა
ხელნაწერები გაზეთის დასაბეჭდად რედაქციის დილის 11 საათიდგან და საღამოს 6—7 „ქ. შ. საზ." წიგნის მაღაზიაში.
ხელნაწერს წერილებს რედაქცია არ ბეჭდავს.
რედაქტორი მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველდღე.
ტელეფონი № 363

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ერთის თვით 60 კაპ.
თითო ნომერი 3 კაპეკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე—5 კ.

Типографія и Редакція
„Цкобисъ Пурцели"
тифлисъ, Дворцовая ул. д. Дворянства.
Телефонъ № 363


## 1899 წლისათვის მიიღება ხელის-მოწერა
## გაზეთ „ცნობის ფურცელზე"

ფასი წლიურად **6** მან., ნახევარის წლით **4** მან., ერთის თვით **60** კაპ.


## ქართული თეატრი

კვირას, 7 თებერვალს
ქართული დრამატიული საზოგადოების არტისტებისაგან, ეფ. მესხის მონაწილეობით
წარმოდგენილი იქნება:

## კონსტანტინე ბატონიშვილი

ისტორიული დრამა 5 მოქმედ. თხზულება ალ. ყაზბეგისა.
მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი
**ადგილების ფასი ჩვეულებრივია**
**დასაწყისი სწორედ 8 საათზე**
რეჟისორნი: **ვ. აბაშიძე** და **კ. მესხი.**
ხუთშაბათს, 11 თებერვალს დანიშნულია ბენეფისი **ქ-ნ ეფ. მესხისა.**

გამოვიდა და ისყიდება მეოთხე სურათებიანი გამოცემა ძმათა თავართქილაძეების წიგნის მაღაზიისა

## „სახელმძღვანელო"

სამღვთო სჯულის სასწავლებლად საერო და სამრევლო სკოლების
**მოწაფეთათვის**
შედგ. მღვ. ნ. ჟუჟანაშვილის მიერ
ფასი ყდით **30** კაპ.
ცალკე თითო კაპეიკი გადიდება სვეტი-ცხოვლის ტაძრის შესაკეთებელ ფონდისათვის. (20—13)

V. VERMOREL
consmructeur Villefranche (Rhone) ვაზის შესასხურებელი მანქანა **„ეკლერ"** გოგირდის შესაბერი მანქანა **„ტორპილი"**.

## შაბიამანი
## macclesfield

ერთად-ერთი წარმომადგენელი მთელს რუსეთისა და კავკასიისა.
მ. ფრიდონოვი. ტფილისში. (10—6)

სამკურნალო და ამბულატორია
## ვ. თოფურიასი
ქუთაისში.
საკურნალოში 50 საწოლია ავადმყოფთათვის მიიღებიან ავადმყოფები შინაგანისა, ნერვების, საქირურგიო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი,
გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან.
ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს **ს. ბ. თოფურია.** საქირურგო ავადმყოფობას და სიფილისს **ფ. კ. ბერატი.**
დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი **ბ. თ. კობანი.**
20 მაისიდამ—დედათა ავადმყოფობის და აკუშერობის D-r **ფ. ბაცევიჩი.**
თვალების ავადმყოფობას—**ი. კ. ვარშავსკი.**
ამბულატორიასთან არის კაბინეტი საქიმიო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისათვისა და მასაჟისთვის.
სამკურნალო დირექტორი **ს. ბ. თოფურია.**
*Лѣчебница В. С. Топурія* въ Кутаисѣ.


## ახალი ამბავი

*** **საეკლესიო საუბარი.** დღეს, მწუხრის შემდეგ, ქვაშვეთის ტაძარში წარმოთქმულ იქნება საეკლესიო საუბარი ქართულს ენაზედ ამავე ტაძრის მღვდლის მ. გრ. გამდლიშვილის მიერ—შემდეგი სათაურით: „ქართველების მომზადება ქრისტიანობის მისაღებად". მწუხრზედ იგალობებს სასულიერო სემინარიის მოწაფეთა ქართული გუნდი.

*** **ნ. ნიკოლაძის წერილები ტფილისის თვით მართველობაზე.** ერთხელ კიდევ მივაქცევთ მკითხველების ყურადღებას ჩვენი ნიჭიერის პუბლიცისტის ნიკო ნიკოლაძის წერილებზე, რომელნიც დაბეჭდილია გაზ. „კავკაზის" 32 და 33 ნომრებში, ამ წერილებში ნ. ნიკოლაძე ჩვეულებრივის შეუბრალებელის ლოღიკით და დასკვნით აღნიშნავს ცალმხრივობას ტფილისის თვითმართველობისას. იმავ დროს საოცარის სიფხიზლით ამხელს ერთ ჯურა მწერლების ფარისევლობას და კუდამელობას და საზოგადოდ პირბადეს ხდის იმათ რომელთა აბელის ქუდი ხურავთ და ეშმაკს უკმევენ გუნდრუკს.

*** **მუხრანის მამულის გაყიდვის საქმე.** „კავკაზს" პეტერბურგიდან აუწყებენ, რომ მუხრანის მამული არ გაიყიდება საუფლისწულო უწყებაზე.

*** **შეწირულება ეკლესიის სასარგებლოდ.** დეისტვ. სტატსკი სოვეტნიკის ქვრივმა ქ-ნმა ერმაკოვისამ შესწირა თელავის ღვთის მშობლის ეკლესიას სამუდამო თანხად 2000 მან.

*** **დიდი მთავრის ნიკოლოზ მიხეილის-ძის გამომგზავრება კავკასიაში.** როგორც გაზეთები იუწყებიან 30 იანვარს პეტერბურგიდან კავკასიაში გამოემგზავრება მისი იმპერატორებითი უმაღლესობა დიდი მთავარი ნიკოლოზ მიხეილის-ძე.

*** **სოხუმის ეპისკოპოსი.** გაზ. „მწყემსი" უარყოფს იმ ცნობას თითქო სოხუმის ეპარქიის ეპისკოპოსად ინიშნებოდეს ყოვლად სამღვდ. გრიგორი.

*** **კავკასიის სტიპენდიები.** კავკასიის მთავარ-მართებელმა ნება დართო დაენიშნოს კავკასიის სტიპენდიები: ხარკოვის საიმპერატორო უნივერსიტეტში—სამკურნალო ფაკულტეტის სტუდენტებს, სამსონ სახოკიას; სამთო ინსტიტუტში—სტუდენტს ალ. კიშენს; მოსკოვის საიმპერატორო ტეხნიკურ სასწავლებელში—სტუდენტს მე IV კურსისას გიორგი ნჭეძეს.

*** **ქართული საღამო კიევში.** ამ ჟამად კიევში იმყოფება ჩვენი ახალგაზდა მემუსიკე - კომპოზიტორი ბ. მელიტონ ბალანჩივაძე, რომელიც მოიწვიეს ადგილობრივმა ქართველმა სტუდენტობამ ქართულ საღამოს გასაწყობად. ქართული საღამო კიევში წელს პირველად იმართება. საღამო გამართული იქნება 5 თებერვალს კიეველ მომღერალ არტისტების და სტუდენტების ხორო—ორკესტრის დახმარებით.

როგორც პროგრამიდან სჩანს საღამო ძლიერ საინტერესო უნდა დარჩეს. გამგენი და მონაწილეობის მიმღებნი ცდას არ დააკლებენ და საქმე რით დაგვირგვინდება ვინ იცის. ვნახოთ როგორ მოეწონება კიეველებს ჩვენებური მუსიკა-სიმღერები. უკანასკნელს ადგილობრივ გაზეთებიდან გავი-

გებთ, გარდა ამისა თვით სადამოზე დამსწრეთა შთაბეჭდილებაც არ გამოგვეპარება. ყოველსავე დაწვრილებით სადამოს გათავების შემდეგ შევატყობინებთ მკითხველებს.

*** **დ. ი. კეზელის საქმე.** გუშინ 6 თებერვალს ტფილისის სამოსამართლო პალატაში დანიშნული იყო განსახილველად საქმე დ. ი. კეზელისა, რომელსაც ტფილისის ოლქის სასამართლომ ციმბირში გადასახლება მიუსაჯა. მაგრამ გარჩევა გადიდო პალატის წევრის ბ. კარნოვიჩის ავადმყობის მიზეზით.

*** **ვაჭრის თავგასულობა.** 5 თებერვალს თამამშევის ქარვასლაში გრიგოლ ტერ სააკოვის შკაფთან მივიდა ინჟინრის ლ. გ—ის ცოლი და მატყლი მოითხოვა. რადგან მატყლის ფასი ქ-ნ გ—ს ძალიან ეძვირა, მოშორდა სააკოვის შკაფს. უკანასკნელმა ამ დროს ქალს უშვერი ენით ლანძღვა-გინება დაუწყო. პოლიციამ, რომელიც მოიყვანა ქალმა, გამოძიება მოახდინა და დაამტკიცა ქალის საჩივრის საფუძვლიანობა. ასეთი შემთხვევა იშვიათი არ არის ხსენებულ ქარვასლაში და ურიგო არ იქნება, ამ თავგასულობის ასალაგმავად, ზომები მიიღოს ვისიც ჯერ არს.

*** **საბადოსნო სკოლის საქმე.** 5 თებერვალს, მიწად-მოქმედების მინისტრის რწმუნებულმა წინადადება მისცა სამეურნეო საზოგადოებას, გამომიგზავნეთ ცნობები ტფილისის საბადოსნო სკოლის შესახებაო.

*** **ფანჯრების მტვრევა.** აგერ ეს მესამე ღამეა მოსვენება აღარა გვაქვს: ღამ-ღამე მოდის ვიღაცა თავ-გასული ვაჟბატონი და დიდრონის აგურის ნატეხებით ფანჯრის მინებს გვილეწავს. აღარ ვიცით სად წავიდეთ, ყოველ ღამე მთელი მდგმურები დაწიოკებულნი ვართ. ზემო აღნიშნული თავგასულობა ხდება პირველ ხევის ქუჩაზე, თეთრაძის სახლებში, № 5. ურიგო არ იქნება, ვისიც ჯერ რს ამ თავ-გასულობას ყურადღებას მიაქცევდეს და ამ ვაჟ-ბატონს გაბაწრავდეს, მით უფრო საყურადღებოა ეს გარემოება, რომ ქვის სროლით ერთხელაც იქნება თავს გაუხეთქენ ადამიანს.

*** **ნავთის წარმოება კავკასიაში.** მიწად მოქმედების და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროში შემდგარა კომისია იმ წესების განსახილველად, რომლის ძალითაც უცხოელებს შეუძლიანთ ნავთის წარმოება დაიწყონ კავკასიაში.

*** **პატარა ლიახვის ხეობა. სამრევლო სკოლის დაარსება.** როგორც „ცნობის ფურცელში“ იყო მოხსენებული, ამ ცამეტის თვის წინათ მართლ-მადიდებელი ქრისტიანობის აღმადგენელმა საზოგადოებამ პატარა ლიახვის ხეობაზედ ს. აწერის ხევში დააარსა თავის ხარჯით ერთ კლასიანი სასწავლებელი. ასე რომ, არამც თუ მასწავლებლების ჯამაგირი იკისრა თვითონ, არამედ სასწავლო ნივთებს და სახელმძღვანელოებსაც თითონ უგზავნის მუქთად. ხოლო სოფლის საზოგადოებამ უნდა მოუტანოს სკოლას თითო მარხილი შეშა და დაიქირაოს სასწავლებლისათვის მოსამსახურე. ცოდვა არ უნდა ვთქვათ, აწერის ხევის მკვიდრთა და ზოგიერთა ოსების სოფელს ისე შეუყვარდათ თავის სასწავლებელი, რომ დღეს სასწავლებლში შეგირდები აღარ ეტევიან და ამ იშვიათ ბედნიერებას ამათთვის სიხარულით მიეგებნენ და შეშასაც ბეჯითად ზიდავენ. მაგრამ მოგეხსენებათ, ამისთანა ბედნიერ საქმეს მტერი არ დაელევა. ვიღაც დაუძინებელ მტერს აწერის ხევის სკოლისას მხოლოდ, დაურწმუნებია ერთი პატარა ოსების სოფელი, ; რომელიც ოცი კომლისაგან შესდგება, რომ მასწავლებელი ატყუებდეთ მათ და სასწავლებლის ყველა ხარჯი სოფლის საზოგადოებას გადახდებაო და ეჩვენებია მაგალითებად სახალხო სკოლებზედ; რის გამო ზოგიერთა ოსების სოფელს არც შვილები მიჰყავთ სასწავლებელში და არც შეშა მიაქვთ. ამ სოფლებს მასწავლებელი და ბოქაული მაინც შეშასა სთხოვენ ბეჯითად. შეშინებულს მტრის ენისაგან, ამ პატარა სოფელს დაუვლიათ სხვა სოფლებშიაც და ხალხისთვის ჩაუგონებიათ, რომ ყოველივე ხარჯს აწერის-ხევის სასწავლებლისას ჩვენა გვთხოვენო. ზოგიერთა სოფლებიც მოუმხრია ამ პატარა სოფელს და საჩივარს აპირებენ, რომ არც სკოლა გვინდა და არც იმის ხარჯს გამოვიტანთო. პატარა ლიახვის მეტმა ნაწილმა მკვიდრმა კი დაბეჯითებით შეიტყო, რომ ყოველივე ხარჯი სასწვლებლისა მთავრობამ იკისრა და ყურს არ უგდებენ ტყუილად გავრცელებულ ხმებს. მეც დაბეჯითებით მოვახსენებ სკოლის მტერს, რომ დაანებოს ამ საწყალ ხალხს თავი, რადგანაც რავდენიც უნდა იჩანჩხაროს სამაგიეროს ვერას უზამს აწერის ხევის შკოლას და თვითონვე ხედავს, რომ სკოლამ ღრმათ გაიდგა ფესვები და თითქმის არც ერთ ახლო-მახლო სასწავლებელში ასე ბეჯითად და გულმოდგინეთ არ დაიარებიან შეგირდები. თვითონ ენ სები გაიძახიან: რომ ვიცოდეთ, რომ შეშისა და მოსამსახურის ხარჯის მეტი არა გადაგვხდება-რაო, ამაზედ თანახმანი ვართ მაგრამ გვეუბნევიან ყოველივე ხარჯიც თქვენ გადაგხდებათ და სასწავლებელთან პურის „მაღაზიასაც“ დაგიარსებენო. მე ვარწმუნებ გზა დაბნეულ ხალხს, რომ სკოლა იმათთვის დიდი ბედნიერებაა და არავითარი ხარჯი არ გადახდებათ თავის დღეში სკოლისა, გარდა შეშისა და მოსამსახურის ფულისა. ნუ უგდებენ ყურს ბოროტ კაცს, ბოროტობაზედ აღზრდილს. იმას სურს ხალხი ისევ სიბნელეში დარჩეს და თვითონ როგორც სურს მათზედ ასე იმეფოს. ტყუილათ ეშინიათ პატარა ლიახვის ზოგიერთ მკვიდრთ სკოლისა. მართლმადიდებელი სარწმუნოების გამავრცელებელ საზოგადოებას ის არა აქვს აზრათ, რომ გაალატაკონ ხალხი. იმათი მიზანია ქრისტეს სარწმუნოება ისე სწამდეთ, როგორც მოითხოვს წ. მართლ-მადიდებელი ეკკლესია და არა ისე როგორც დღესა სწამთ ამ ხეობაზედ. აღამაღლონ ხალხი ზნეობით. ასწავლონ წერა, კითხვა, ანგარიში. გააუმჯობესონ ამ ხეობაზედ მეურნეობა. შეაჩვიონ შრომის მოყვარეობას. ყოველივე კაცის დამამცირებელი ზნე-ჩვეულება მოსპონ შეძლების დაგვარად. შეაჩვიონ კაცურ ღირსებას. გააუმჯობესონ ყოველის მხრით იმათი მდგმოიარობა და სხვა-და-სხვა...

მართალაძე.

*** **სოფ. საკიკიანო** (სამეგრელო). **აქაური სკოლა და მღვდლის მოღვაწეობა მაზე.** 1895-ის სასწავლო წლიდან აქ, ამ სოფელში, ადგილობითის მღვდლის მ. ფილიპე კვარაცხელიას თაოსნობით და მეცადინეობით არსებობს სამრევლო სკოლა, რომელმაც ამ სკოლისათვის საჭირო შენობა და ერთი ქცევა მიწა, ღირებული 400 მანეთად, შესწირა, მაგრამ ამისთანა კეთილი და მისაბაძი მაგალითებით ზოგიერთნი პირნი და სოფელნი სარგებლობენ, მაგალითად: ამა და ამ მღვდელმა თავისი ხარჯითააშენა სამრევლო სკოლისათვის საჭირო შენობა და ჩვენი მღვდელი რათ არ გვიკეთებსო და სხვა, ასე რომ მღვდლებს ჰხდიან მოვალეთ შენობაზედ და სხვა საჭირო მასალების მოპოვებაზე, და თვით კი (საზოგადოება) ყურსაც არ იბერტყავს ამაზე.

თუმცაღა ამ სკოლაში ყველაფერი უფასოა და ესევე მღვდელი თითქმის უფასოდ ურიგებს მოსწავლეებს სასწავლო ნივთებსაც, მაგრამ აქაური უსწავლელი საზოგადოება, გამსჭვალული რაღაც უცნაური აზრებით, ყურადღ…
არ აქცევს და არ ზრუნავს ამ …
მრევლო სკოლაზე იმითი, რომ …
ბავშვებს აძლევენ სკოლაში. …
დაც ამისთანა სამრევლო სკოლ…
არ არსებობენ, იქ მიზეზად …
ასახელებენ, რომ ღარიბნი ვ…
თო, მაგრამ ამ შემთხვევაში რ…
მიზეზი უნდა ითქვას, როდ…
ყველაფერი უფასოდ აქვს? …
რჩენია მხოლოდ ვსთქვათ, რ…
ამისთანა საზოგადოება არის ბრ…
დაუდევნელი და სხვა არაფერი…
დიდის მადლობის ღირსია …
ფილიპე კვარაცხელია, მმართვე…
და სამღრთო სჯულის მასწავლე…
ბელი ამა სკოლისა, ასეთი ქვე…
მოქმედებისათვის და ენერგიულ…
სწავლის გაძლოლისათვის. ყოვ…
შემთხვევაში ვისურვებთ, რო…
მისს შრომა-მეცადინეობას …
ქველ-მოქმედებას მტკიცე და მ…
რი ნაყოფი გამოეტანოს და მ…
ვალნი მიმბაძველნი გამოსჩენო…
ნენ მას.

გურულ-მეგრ…

*** **ს. ზუგდიდის-კახათი.** აქ…
მეუფობა. აქაურ მცხოვრებთ …
სრს ავლებს ყვავილ-ბატონებ…
მოგეხსენებათ უებარი საშუალ…
ყვავილის წინააღმდეგ აცრაა …
მასაც ჯერჯერობით მოკლებულ…
ვართ, რადგანაც ამცრელი ცო…
გვყავს. ასე წარმოიდგინეთ, ვეშ…
თელა საზოგადოებას (კახათი, დ…
ჩენი და კოვი) ერთად-ერთი ამ…
რელი ჰყავს. თუმცა ეს პატივც…
მული პირი ძლიერ გულდადებ…
ექცევა თავის თანამდებობას, მ…
რამ ერთი კაცი, ხომ მოგეხსე…
ბათ, ჰამაშიაც ბრალია. განსაკუ…
რებით სასიამოვნო ის არის, რ…
ეს ამცრელი არ ყოფილა შე…
რობილი ვერცხლ-მოყვარეობ…
როგორც ზოგიერთი ვაჟბატონებ…
რომელნიც ქ. ზუგდიდს არ სც…
დებიან, მხოლოდ იმ იმედით, რ…
იქ უკეთესად ჩაჯიბავენ. ამას …
ნად ხსენებული ამცრელი …
სკოლაში მოვიწვიე და აუცრა …
მოწაფეს და აგრეთვე მოსულ გლ…
ხებს, კაცებს და ქალებს, ორ…
მეტს, მაგრამ სასყიდელი არავი…
გან აუღია, თუმცა-ღა ზოგიერ…
ბი კი აწვდიდნენ მას „ნახევ…
იმან აუხსნა მათ, მე სახელმწ…
ჯამაგირს ვღებულობ და ვალ…
ბული ვარ მუქთად ავუცრა …
ლასაო.

ლ. ხუნწა…

*** **ს. დიდი ჯიხაიში** (იმ…
თი). **უექიმობა.** დიდი ხანია …
აქაურებს აწუხებთ უექიმობა …
ბევრს უნდა საკუთარი ექიმი …
ლიონ, მაგრამ ამ დიდათ საჭ…
საქმეს არ იქნა ვერ მიება თ…
ამის მიზეზი ის არის, რომ ფუ…
გამოღება ექიმის დასაქირავებ…

ეროვნული ბიბლიოთეკა

...ის ეზარება და ამბობენ, რო-
...გვეჭირდება ექიმს შორიდა-
მოვიყვანთო, რა საჭიროა კა-
...ახალი გადასახადი მივუმატოთ
... სხვა ათასნაირ ბეგარასაო და
...ამ ზამთარში აქ გაჩნდა ათას
...ი ავადმყოფობა: ყვავილი, ყე-
...ჭირვება, სახადი, ინფლუენ-
...და საკუთარი ექიმის უყო-
...ის გამო საჭირო შეიქნა შო-
...ან ექიმის მოყვანა დროზე
...ის მოყვანა მხოლოდ მან შე-
..., ვისაც ათი და ოცი მანე-
...გადახდა არ უჭირს, ხოლო
...რჩენებს ან სულ არ მოუყვა-
... ექიმი და, ან თუ მოიყვანს,
...ეთ იმ დროს, როდესაც მლვ-
...ი იყო საჭირო. ეს კიდევ
...ერი. ყოველსავე ამას ზედ
...ის ექიმების თავგასულობა.
...თმა ცნობილმა ექიმმა ავადმ-
...ის პატრონს ფული უკან და-
...ნა და გამოუცხადა ეგ ფული
...ლად არ მეყოფა, ჩემი ვი-
...ამ ქამად 15—20 მ. ღირს,
... რომ ბევრი ავადმყოფები
...ო. ასეთ გარემოებაში სწო-
...გაჭირვების ტალკვესია აქაუ-
...აფთეკე ბ. ჩომახიძე, რომე-
...უსასყიდლოდ ნახულობს გა-
...ბულ ავადმყოფებს და აძ-
... დარიგებას. როგორც ვიცით
...თილი მეთვალყურე ძრიელ
...ლობს ექიმის მოყვანაზედაც
...წერ-მოწერაც აქვს ექიმებ-
...რომლებსაც პირობას აძლევს,
... მ. თუ არ გექნებათ შემოსავა-
...მე შეგივსებ დანაკლისაო. თუ
...მახიძემ ეს კეთილი საქმე და-
...გვინა, დიდი მადლობის ღირ-
...ნება.

...ცეცხლის გაჩენა. 24 იანვარს
...ცხლი გაუჩნდა ვაჭრის ქორ-
...ანის დუქანს და აღმოსავლე-
...ქარის დახმარებით ისე მსწ-
...ად მოეკიდა ბაზარს, რომ 17
...ნი სულ საათ-ნახევარში გა-
...უგა. აქაურ ახალგაზდებს რომ
... სიმარჯვე არ გამოეჩინათ,
... ბაზარი და ზედ მოდებული
...ლი ცუდს მდგომარეობაში
...ებოდა. ზარალი 4,000 მ.
...ტება. დაზარალებულნი თავ-
...რვით და სასოწარკვეთილე-
...ლაოდნენ. ერთი მათგანი კი
...ლ კინაღამ გადავარდა წყალ-
...არჯვეთ იყვნენ მამასახლისი
...ისთავების უფროსი თ. ნ
...

ლ. ბილაძე

## გამოსადეგი ცნობა

...ნო და მისი გადაგვარება *).
...რთოთ ღვინის გამკეთებლები
...ულობას უფრო ხმარობენ. უმ-
... მათგან შემდეგია: ანწლი,

*) «ცნობ. ფურც.» № 743.

მავი მოცხარი, კაპარის ძირი, ღიღის ხე, ჭიაფერა და სხვ. ყველა ზემო-ჩამოთვლილი მცენარეები ქიმიკოსთაგან შემოწმებულია, რომ რამოდენიმე ნაწილი შხამი აქვთ და მაშასადამე მითი შეზავებული ღვინოც მავნებელია ადამიანის სხეულისათვის.

8. თვით ერთად ერთ საუკეთესო ღირსებასაც კი —სურნელობას— ღვინის დამყენებლები შეუღახავათ არ აყენებენ და ვინ იცის რანაირ ზომებს არ იღებენ, რომ თავიანთ ჭკუაზედ დადგეს ღვინო. ღვინოს სურნელება ეძლევა, როდესაც ქიმიკურათ ღვინის სიმჟავე სპირტს უერთდება და ეწოდება შეერთებული ეფირი. რამოდენადაც ღვინო დიდის ხნისა არის, იმოდენათვე მეტი სურნელება აქვს და დასალევადაც უფრო სასიამოვნოა; მაგრამ ღვინის დამყენებლები არ საჭიროებენ დიდი ხნის ღვინის შენახვას და თვითონვე ხელოვნურათ აზავებენ. ისინი შოულობენ ესსენციას ურევენ შიგ და აღარ აცდიან იმდენს, რომ ღვინომ თავის თავად დუღილში და დრო გამოშვებით მოიპოვოს ეს ფრიად სასიამოვნო და სასარგებლო ღირსება. იმ ესსენციაში, რომელსაც ღვინოში სურნელების მისაცემათ ურევენ, მოთავსებულია აზოტის სიმჟავის მაგვარი ეფირი, რომელიც მავნებელია ადამიანის ჯან-მრთელობისათვის.

9. ღვინოში წყლის დარევა ხომ ძალიან ხშირს მოვლენას შეადგენს ღვინის დამყენებლებისათვის. ჯერ გადურევენ წყალს და შემდეგ იმის დაგვარად ურევენ სპირტს სიმაგრის მისაცემათ. სპირტში ურევია „სივუშნის ზეთი“ (საწამლავია, რომელსაც მეორეთ გამოხდილი პურის სპირტი იძლევა). ეკონომიურის მხრითაც დიდი მავნებელია ხალხისთვის. ამ სპირტის ხმარება, გამოანგარიშებულია, საფრანგეთს რვა მილიონ მ. ზარალს აძლევს და რუსეთში ხომ, სადაც დიდი მოთხოვნილებაა ამ სპირტისა, ოცჯერ მეტი ზარალი მოაქვს.

ღვინის ავ-კარგიანობის გაგება ქიმიკურათ ძალიან ძნელია, თუმცა უკვდავმა პასტერმა მეტად ნათლად გამოიკვლია ღვინის სასარგებლო და მავნებელი ელემენტები, მაგრამ ჯერ-ჯერობით ჩვენში არ არის სრულიად ხმარებაში, თუმცა საფრანგეთსა და გერმანიაში დიდი ყურადღებაა მიქცეული და არც ერთს ღვინის გამკეთებელს მექარხნეს არ შეუძლიან გასასყიდათ გაუშვას ვიდრე სპეციალისტები პასტერის ქიმიკურ მანქანაში არ გაატარებენ.

ივ. კავთელი.

## ყურმოკრული საუბარი

— როდესაც 'გათხოვდები, შეჭველია სადამოებს გამართავ?

— არამც თუ სადამოებს, ვისვირნებ კიდეც.

— სეირნობას საკუთარი ეტლი უნდა.

— ვიყიდით.

— მერე შენი საქმრო ჯამაგირს რამდენს იღებს?

— თვეში ოცდა ხუთ მანეთს.

—

— პენსია მიიღეთ?

— მივიღე, მაგრამ ამ ნაირი პენსიის მიღება ხათაბალაა. წარმოიდგინეთ სულ ოქროს ფული მომცეს. აბა თქვენ მითხარით ოქროს ფული როგორ უნდა გამემეტნა და დამეხურდავებინა, მერე მე ოქროული ძალიან მიყვარს, წავიღე 15 მან. და კასაში დავაგირავე; 15 მანეთში 12 მანეთი მომცეს, ახლა თვიური სარგებელი, არა გეთაყვა ქაღალდის ფული ათასჯერ სჯობდა.

## გასართობი

—

დიოგენის პასუხი. ერთს საზოგადოებაში ფილოსოფოსი არისტოტელი და დიოგენი შეესწრნენ, ბევრმა მათგანმა შენატრეს არისტოტელს, შენ ბედნიერი კაცი ხარ, მეფესთან სადილობო. დიოგენმა მოჰკრა ყური მათ ლაპარაკს და მიმართა არისტოტელს: არისტოტელ, შენი ცხოვრება მე სრულიად არ მომწონს, შენ უნდა ისადილო მაშინ, როდესაც მეფეს მოშივა და მე კი მაშინა ვსადილობ, როცა მე მომშივა.

# დეპეშები

(«რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან»).

5 თებერვალი

**პარიზი.** „ჰავასის სააგენტო“ ბიულიტენი იუწყება: „საღამოს 10 საათზედ ფორი გარდაიცვალა წვეთის დაცემისაგან. დიუპუიმ, რომელიც პრეზიდენტის სიცოცხლის უკანასკნელ წუთებს დაესწრო, აუწყა სამწუხარო ამბავი პალატისა და სენატის პრეზიდენტებს და გაუგზავნა პრეფექტებს და სუბპრეფექტებს შემდეგი დეპეშა: მწუხარებით გაუწყებთ პრეზიდენტის გარდაცვალებას. ინებეთ და ზომები მიიღეთ, რათა მცხოვრებელთ შეიტყოთ რესპუბლიკისთვის ეს სამწუხარო ამბავი. ამ სამწუხარო გარემოებაში მთავრობას იმედი აქვს, რომ ყველანი ფხიზლად მოიქცევიან.

**პარიზი.** საღამოს 6 საათზედ ფორმა ცუდად იგრძნო თავი და დაუძახა ლეგალლს, რომელმაც პირველი შემწეობა აღმოუჩინა და მაშინვე მკურნალები მოაყვანინა, მკურნალები თუმცა ბევრს ეცადნენ, მაგრამ ფორი 10 საათზედ გარდაიცვალა. იქ იყვნენ იმის ოჯახობა და დიუპუი.

**პარიზი.** აი რამდენიმე დაწვრილებითი ცნობა პრეზიდენტის სიცოცხლის უკანასკნელ წუთების შესახებ. საღამოს 6 საათზედ კაბინეტში მყოფი ფელიქს ფორი მოვიდა ლეგალლის კაბინეტის კარებთან და სთქვა: „უცუდათ ვგრძნობ თავს. მიშველეთ!“ ლეგალლი მაშინვე მივარდა პრეზიდენტს, რომელიც ჯერ კიდევ ფეხზედ მაგრა იდგა და მიიყვანა დივანთან; შემდეგ ჩუმათ დაუძახა გენერლებს ბაილვარსა და ბლონდელს, აგრეთვე მკურნალს ემბერს, რომელიც შემთხვევით ელისეის სასახლეში იყო თავისის ნათესავის მაიორის ემბერის სანახავად. პირველსავე წუთს პრეზიდენტის მდგომარეობა საშიშოდ სცნეს. რადგანაც თან და თან უფრო ცუდათა ხდებოდა, ტელეფონით დაიბარეს მკურნალები ლანნელონგი და შოლი; ამავე დროს შეატყობინეს ეს ამბავი შარლ დიუპუის. მკურნალები ლანნელონგი და შოლლლი, რომელთაც მალე მკურნალი ბერჟერონიც მიემატა, დარწმუნდნენ, რომ, თუმცა პრეზიდენტს ჯერ გონება არ დაეკარგა, იგი მაინც მეტად საშიშ მდგომირეობაში იყო. საღამოს 8 საათზედ მკურნალებმა შეატყობინეს ქ-ნთ ფორსა და ბერჟს, რომ პრეზიდენტის მორჩენის იმედი აღარ არისო. ისინი მაშინვე მოვიდნენ და მოუახლოვდნენ ფელიქს ფორს, რომელიც ისევ დივანზედ იწვა. რამდენსამე წუთს შემდეგ პრეზიდენტმა გრძნობა დაჰკარგა და 10 საათზედ გარდაიცვალა. შარლ დიუპუი, რომელიც ამ ხნის განმავლობაში ელისეის სასახლეში იყო, მაშინვე შეატყობინა ეს ამბავი ორსავე პალატის პრეზიდენტებსა და მინისტრებს და გაუგზავნა დეპეშები ალჟირის გენერალ გუბერნატორს, პრეფექტებს და სუბპრეფექტებს. პრეზიდენტის გარდაცვალების ამბავი გავრცელდა მხოლოდ 11 საათზედ. მაშინვე ელისეის სასახლეში მივიდნენ საპოლიტიკო მოღვაწენი, მაგრამ სასტიკი ბრძანება გასცეს და სასახლეში მხოლოდ მინისტრები შეუშვეს.

**პარიზი.** აი დაწვრილებითი ამბავი ყოველისავე შესახებ უპირველეს ყოვლისა. დიუპუიმ საყოველთაოდ აცნობა პრეფექტებსა და სუბპრეფექტებს და დაავალა მათ თქვენ თანამდებობას თავს ნუ გაანებებთო, ხოლო იმათ, ვინც სხვაგან იყო ან დროებით სამსახურს დაეთხოვა—დაუყოვნებლივ უკან დაბრუნებულიყვნენ. არ ეგონათ, რომ ფორი ეგრე მალე გარდაიცვლებოდა. უკანასკნელ დღეებში პრეზიდენტს თვისის ჩვეულებისათვის არ გადაუხვევია, უწინდელებრივ მუშაობდა, ცხენით დასეირნობდა, სჭამდა და კარგად ეძინა. ლეგალლს მაინც რამდენჯერმე უთხრა: „ფეხზედ ვეღარა ვდგები, თითქოს მისუსტდე-

ბა“-ო. გუშინ, ოთხშაბათს, ჩვეულებრივ დროზედ, 7 საათზედ კაბინეტიდგან გამოვიდა, უბრძანა შეეტყობინებინათ პიკერისათვის, რომ ხვალ, დილის 7 საათზედ ცხენით სასეირნოთ წავალო. შემდეგ პრეზიდენტი თავის ოთახებში შევიდა, სადილი ოჯახობასთან ერთად მიირთვა და დაწვა დასაძინებლად 10 საათზედ. დღეს, დილით ადგა, 6 საათზედ. გაგზავნა კაცი გადასაცემად, რომ სასეირნოთ აღარ წავალო. ლეგალლს, რომელიც ამ დროს იმასთან შევიდა, პრეზიდენტმა უთხრა, გუშინდელზედ ცუდათ არა ვგრძნობ თავსა, მაგრამ, ვფიქრობ თავი შევიკაო ყოველგვარ ფიზიკურის მოძრაობისაგან, რადგანაც ძალიან დამღალაო. შემდეგ ფორი საძუშაო კაბინეტში შევიდა, წაიკითხა საღამოთი მიღებული დეპეშები, აგრეთვე „ჰავასის სააგენტოს“ ბიულიტენები და გადაათვალიერა გაზეთები, რადგანაც აზრადა ჰქონდა ამ დღეს მინისტრთა საბჭოში თავმჯდომარეობა გაეწია. საბჭო შეიკრიბა 9 საათზედ. ფორს სრული გონიერება ეტყობოდა. არავის არ წარმოედგინა, რომ მას უკანასკნელად ვართმევ ხელსაო. ისაუზმა რა შუადღისას, 2 საათზედ ფორი ლეგალლთან ერთად კაბინეტში შევიდა და იქ ბუხართან მჯდომმა კანცელარიის გამგესთან ლაპარაკში გაატარა დრო. საღამოს 5 საათზედ ლეგალლი ნახევარი საათით დაეთხოვა პრეზიდენტს. როდესაც 6 საათზედ დაბრუნდა, ლეგალლმა დაინახა, რომ პრეზიდენტი საწერ სტოლთან იჯდა და დეკრეტებს ხელს აწერდა. დეკრეტები საღამოობით გენერალ ბალს შეჰქონდა ხოლმე. როდესაც პრეზიდენტმა ხელის მოწერა დაამთავრა, გენერალი წავიდა. რამდენისამე წუთის შემდეგ ფორმა შეაღო ლეგალლის კაბინეტის კარი და სთქვა: „აქ მოდით, ცუდათა ვგრძნობ თავს“-აო.

**პარიზი.** ფორი გარდაიცვალა კაბინეტში, სადაც ურიცხვ დეკრეტს მოაწერა ხელი. ჩვენ მოვახერხეთ ფორის კაბინეტში შესვლა. იგი ტახტზედ წევს. სახეზედ სრული მშვიდობიანობა ეტყობა. ხელები გადაჯვარედინებული უდევს გულზე. ტახტის აქეთ-იქიდგან ორი მოლოზანი სდგას. ქ-ნი ფორი და შვილები დიდს მწუხარებაში არიან. დღეს, დილის 9 საათზედ მინისტრთა საბჭო შეიკრიბება კონგრესის მოსაწვევათ, რათა, კონსტიტუციის თანახმად, ახალის პრეზიდენტის არჩევას შეუდგნენ: მანამდე აღმასრულებელი უფლება დროებით საბჭოს ხელთ იქმნება. კონგრესი შეიკრიბება უთუოდ შაბათს, ვერსალში. ოფიციალურმა პირებმა ფორის გარდაცვალების ამბავი შეიტყვეს მხოლოდ $11_1/^2$ საათზედ. მინისტრები მოვიდნენ, მაგრამ სასახლეში შესვლა სასტიკად იყო აღკრძალული. კაბინეტის ერთმა წევრმა გვითხრა: საფრანგეთის მდგომარეობა ეხლა, ფორის გარდაცვალების დროს, უფრო სერიოზულია, ვიდრე მაშინ იყო, როდესაც კარნო გარდაიცვალა. მაშინ საქმე ანარხისტებთან გვქონდა, ისეთ მტერთან, რომელთანაც ბრძოლა შეიძლებოდა. ეხლა სულ სხვაა; დრეიფუსის საქმის წყალობით, მდგომარეობა გამოურკვეველია, მოუსვენარი. დანამდვილებით არ ვიცით, რა მოგველის“.

**პარიზი.** ფელიქს ფორის გარდაცვალების ამბავი მსწრაფლ გავრცელდა პარიზში. ელისეის სასახლის წინ აუარებელ ბრბოს პოლიცია ძლივს იმაგრებდა. მახლობელი ქუჩები და მოედნები ეტლებს ეჭირა. შუაღამე შესრულდა, მაგრამ სასახლეში ჯერ არავინ შეუშვიათ. ლუბე $12^3/_4$ საათზე მოვიდა. სასახლის წინ ხალხი გვიანობამდის იდგა. ნაშუაღამების პირველ საათზე უკვე გამოვიდა რამდენიმე გაზეთი მოკლე ცნობებით პრეზიდენტის გარდაცვალებისა და სიცოცხლის უკანასკნელ წუთების შესახებ. ბრბო ხელიდან ჰგლეჯავდა დამტარებელთ გაზეთებს და ფარნების წინ კითხულობდა.

**პარიზი.** ლეგალლი მაშინვე მოვიდა. ფორი ფეხზე მაგრა ვეღარ იდგა, ლეგალლმა ხელი მიაშველა და დივანთან მიიყვანა. ფორმა რამდენჯერმე თავზე წაივლო ხელი და განიმეორა: „ცუდათა ვარ, ცუდათა ვარო!“ ლეგალლმა ჰკითხა: „რასა ჰგრძნობთ, სად გტკივათ?“-ო. ფორმა მიუგო: „სუსტადა ვარ. ვგრძნობ, რომ ყველაფერი გათავებულია“-ო. ლეგალლმა უბრძანა ბლონდელისათვის დაეძახათ და სთხოვა მას ის მკურნალი მოეყვანა, რომელიც შემთხვევით სასახლეში იყო. მკურნალმა ემბერმა გასინჯა პრეზიდენტი და ასუნებინა ეფირი. პირველად ეგონა, რომ ავადმყოფი საშიშ მდგომარეობაში არ არისო; მაგრამ, რადგან პრეზიდენტი უკეთ არა ხდებოდა, კანის ქვეშ კოფეინი შეუსხურა. პრეზიდენტმა ხელახლა გაიმეორა რამდენჯერმე: „ვგრძნობ, რომ ყველაფერი გათავდა, ყველაფერი გათავდა“-ო. შემდეგ განაცხადა, მსურს ცოლი და შვილები ვნახოო. მაშინვე მოვიდნენ ქ-ნი ფორი და ლიუცია ფორი. პრეზიდენტმა კიდევ განიმეორა: „ძალიანა ვარ ავად. ვგრძნობ, რომ ყველაფერი გათავდა“. 8 საათზედ მოვიდა მკურნალი ლანელონგი, რომელმაც გასინჯა პრეზიდენტი და გამოუცხადა ლეგალლს, რომ პრეზიდენტის მორჩენა საეჭვოა. ლეგალლმა დიუპუის შეატყობინა. დიუპუი მოვიდა სასახლეში. ლეგალლმა შენიშნა, რომ მინისტრის აქ ყოფნა ცუდად იმოქმედებს ფორის ოჯახობაზედო. დიუპუიმ მიუგო, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროში ვიქნები და იქიდგან შევატყობინებ სხვა მინისტრებსაცაო. ფორი ისევ დივანზედ იწვა და იმეორებდა, კარგი შედეგი არ მოჰყვება ამ ავადმყოფობასაო. მეუღლე იქვე იდგა. ფორი გამოეთხოვა მას და მადლობა გარდაუხადა სიყვარულისა და ერთგულობისათვის; გამოეთხოვა აგრეთვე შვილებს; რამდენიმე გულითადი სიტყვა უთხრა ლეგალლს, რომელსაც მადლობა გარდაუხადა ერთგული თანამშრომლობისათვის; შემდეგ მიჰმართა „დვორეცკის“ და სთხოვა, მაპატიე კადნიერად მოქცევისათვისაო. კამერდინერს, რომელსაც რამდენიმე ტკბილი სიტყვა უთხრა. 9 საათზე გრძნობიერება დაჰკარგა. მოვიდნენ მკურნალნი და დიუპუი. არავითარი იმედი აღარ იყო. 10 საათზე ფორი გარდაიცვალა იმისაგან, რომ ტვინში სისხლი აუვარდა. რამდენიმე წუთით ადრე მღვდელი მოაყვანინეს და პრეზიდენტმა საიდუმლო მიიღო.

# განცხადებანი


ОТКРЫТА ПОДПИСКА НА 1899 ГОДЪ

НА ЕЖЕДНЕВНУЮ ПОЛИТИЧ. И ЛИТЕРАТУРНУЮ ГАЗЕ[ТУ]

„НОВОЕ ОБОЗРѢНІЕ“

(ШЕСТНАДЦАТЫЙ ГОДЪ ИЗДАНІЯ)

Въ 1899 г. «Новое Обозрѣніе» будетъ выходить **въ Ти[фли]сѣ**, какъ и въ прошлые годы, ежедневно, по программѣ бо[ль]шихъ столичныхъ газетъ. Въ газетѣ въ истекающемъ году [при]нимали участе: **К. С. Баранцевичи, М. Гіоргидзе, И. Зурабишвили, Ивановичъ, Иванъ-да-Морья, Л. Кипіани, Лали, В. Лункевичъ, А. На... Монголъ, А. Хах—овъ и др.**

**УСЛОВІЯ ПОДПИСКИ:** съ пересылкою и доставкою: на го[дъ] **10 р.**, на полгода—**6 р.**, на три мѣсяца—**3 р. 50 к.**, на од[инъ] мѣсяцъ—**1 р. 50 к.** *За границу*: на годъ—**17 р.**, на полгода—... на три мѣсяца—**5 р.** (Подписка принимается не иначе какъ [счи]тая съ перваго числа любого мѣсяца). Для сельскихъ учит[елей] льгота: подписная цѣна на годъ—**7 р.**, полгода—**4 р.**

**ДЛЯ ГОДОВЫХЪ ПОДПИСЧИКОВЪ**, какъ городскихъ, так[ъ и] иногородныхъ, обращающихся непосредственно въ контору [ре]дакціи, **ДОПУСКАЕТСЯ РАЗСРОЧКА** на слѣдующихъ услові[яхъ]: при подпискѣ вносится—3 р., къ 1-му марта—2 р., къ [1-му] мая—3 р. и къ 1-му сентября—2 р.

Подписка и объявленія принимаются **Въ ТИФЛИСѢ: въ кон[торѣ г]азеты**, Барятинская ул., № 8.

Подписка и объявленія принимаются: въ **ТИФЛИСѢ**—въ [кон]**торѣ газеты**, Барятинская ул., № 8; въ **Батумѣ**—въ книжн[омъ] агентствѣ М. И. Николадзе; въ **Кутаисѣ**—въ книжн. магази[нѣ] Чиладзе и Бежанейшвили. (6—

**1899 г. подписка на еженедѣльный журналъ ГОДЪ XVIII.**

**РЕБУСЪ**, знакомящій читателей съ современною на[учною] разработкой вопросовъ психической области, ка[къ]

**медіумизма** (спиритизма), **животнаго магнетизма, ГИПНОТИ[ЗМА], ясновидѣнія, двойнаго зрѣнія, мысленнаго внушенія, видѣнія призраковъ** [при]зненныхъ, присмертныхъ, посмертныхъ и т. п. На страницахъ журнала [поме]щаются описанія сеансовъ извѣстныхъ медіумовъ въ Россіи и заграниц[ей. Ста]тьи по **АСТРОЛОГІИ**, знакомящія съ этой наукой, и тео[рети]чески и практически: составленіе гороскоповъ. Статьи [по ок]**культизму**, заключающія въ себѣ ученіе древнихъ и новѣй[шихъ] оккультистовъ. **Беллетристика: романы, повѣсти и разсказ[ы].**

Годъ съ дост. 5 руб., безъ дост. 4 руб. ½ года 3 » » 2 » | Разсрочка: при подпискѣ 2 руб.; [къ 1-му] апрѣля, 1-го іюля и 1-го окт. по...

Адресъ: Царское село (Петербургской губ.), редакція журнала „**РЕБУ[СЪ]**“. (6—